# სამშაბათი

1პეტ 1,10-16; ფს 97; მარ 10,28-31

## თვითონაც იყავით ღმიდები ყოველ საქცევილში 1პეტ 1,15

დღეს, კარნავალის ბოლო დღეს, ეს სიტყვა გვეძ-ლევა: მამას სურს, რომ დღესაც მისი შვილები ვიყოთ, რადგან ეს მართლაც ლამაზი და კარგია! ჩვენ გვეცოდინება, როგორ ვითამაშოთ ჩვენს შვილებთან და ვუმღეროთ მოხუცებს: უბრალო-ებითა და სისპეტაკით დავაგემოვნებთ ძმური ზიარების სიხარულს.

# 2 მარტი

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV], ი

## 2022 ოთხშაბათი

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20-6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს, მოწყალე და შემბრალებელია იგი იოვ 2,13

დიახ, სწორედ იმიტომ, რომ უფალი მოწყალეა და თანამგრძნობი, ჩვენ, დიდმარხვის ამ დროს, დავადგებით მოქცევის, ცვლილებების გზას: არა მისი მხრიდან დასჯის შიშით, არამედ იმიტომ, რომ მას ისე ვუყვარვართ, რომ როგორ უნდა უპასუხო მას ასე ცუდად?! ბოლოს და ბოლოს, ის სასჯელები, რომლებიც ჩვენ გვგონია, რომ მისგან მოდის, სინამდვილეში ჩვენი ცუდი არჩევანის შედეგებია.

# 3 მარტი

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

## 2022 ხუთშაბათი

**რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25**

დედის დღე

*კაცის ძის ხვედრია,*
*მრავალი ტანჯვა აიტანოს* ლკ 9,22

ჩვენ გუშინ დავიწყეთ დიდმარხვის მოგზაურობა: გვსურს გადაჭრით დავუბრუნდეთ მამას, რომელიცაა ოდენ სიყვარული. გმადლობთ, იესო, შენა ხარ ის, ვინც შესაძლებელს ხდის ამ გასაოცარ მოგზაურობას. შენ თავზე გამოსცადე ის, რაც თავკერძობით დასენულებულ კაცობრიობას ხსნად მოუვლინე. ამ გზაზე შენ როდი გვიმზერ ზემოდან, არამედ ჩვენთან ერთად ხარ და არანაირ განსაცდელში არ მიგვატოვებ. მადლობა იმ სიყვარულითა და სიბრძნით გამოწვდილი წამლისათვის, რასაც აღდგომის სიხარული მოსდევს!

# 4 მარტი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

*წმ. კაზიმიხი, +1484*

## 2022 პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

ცისკარივით ამოსდება შენი
სინათლე, და შენი კურნება
სწრაფად აღმოცენდება ეს 58,8

ეს არის დრო, როდესაც წარვდგებით ჩვენი ღმერთის წინაშე როგორც ღატაკნი, რომელთაც გვჭირდება შუქი ყოველდღიურ ცხოვრებაში; დაუძლურებული შვილები ვართ. დღევანდელი სიტყვა გვიჩვენებს წამალს: არათუ ასკეტიზმი და მსხვერპლშეწირვები, რასაც ამპარტავნება იოლად გვიცამტვერებს, არამედ სიყვარულით დავიხაროთ საკუთარ ძმაზე, რომელიც ჩვენსავით ღატაკია და გაჭირვებული. ჩვენი ღმერთი, მამა ჩვენი, ნუგეშს იგრძნობს და გვერდში ამოგვიდგება.

# 5 მარტი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

## 2022 შაბათი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

მოვედი არა მართალთა, არამედ ცოდვილთა მოსანანობად ლკ 5,32

იესოს ეს სიტყვა ძალიან ლამაზი და დამამშვიდებელია, არადა მე ძალზე მიჭირს თავი ცოდვილად ვაღიარო და ჯიუტად მსურს ვგრძნობდე თავს მართლად და ამგვარი ვჩანდე!
მინდა იესომ მომიხმოს? მინდა მასთან ახლოს ვიყო? დიახ, იესო, მე ნამდვილად მჭირდება შენგან პატიება, რითაც განვახლდები: ამგვარად, ჩემი სიყვარული შენდამი და ჩემი ძმებისადმი, ახლა ესოდენ სუსტი, უფრო მეტად დაემსგავსება შენსას.

# 6 მარტი

**დიდმარხვის I კვირადღე, «გ», [I], ი**

# 2022 კვირა

**რჯლ 26,4-10; ფს 90; რომ 10,8-13; ლკ 4,1-13**

## თუ ღვთის მე ხარ, თუთხარი... ლკ 4,3

უდაბნოში ეშმაკი ცდილობდა, რომ იესოს დავიწყებოდა მამის შვილობრივი სიყვარული. იესო კი გულით ატარებდა სიტყვას, რომელიც თავად მამის მიერ იყო მოცემული, წმიდა წერილს, რომელმაც დაიცვა იგი. ეს სიტყვა ცოცხალი იქნება ჩვენს გულებში მთელი მარხვის განმავლობაში; ის გვაყალიბებს, როგორც მამის ნამდვილ შვილებს, რომელთაც შეუძლიათ სიხარულით დაჰყვნენ სიყვარულს და შეიყვარონ.

# 7 მაისი

დიდმარხვის I კვირა [I], ი

მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამ. +202/203

## 2022 ოიშაბათი

ლევ 19,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

იყავით წმიდა, რამეთუ მე, უფალი, ღმერთი თქვენი, ვარ წმიდა ლევ 19,2

ღმერთი სიყვარულია. მისი სიწმიდე მდგომარეობს მის ურყევ, მუდმივ, ერთგულ სიყვარულში ყველას მიმართ. ჩვენი სიწმიდეც იგივეა. არ ნიშნავს, არ გავაკეთო ბოროტება, არამედ, განვაგრძოთ სიყვარული, რადგან ეს არის ღმერთის სიცოცხლე, რომელიც უნდა იყოს ჩვენში, მის შვილებში, და რომელსაც ის ჟამთა აღსასრულ ამოიცნობს: „მშიოდა და დამაპურეთ...“.

# 8 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I], ი

*წმ. იოანე ღმრთისა, ბერი +1550*

## 2022 სამშაბათი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

ქალთა საერთაშორისო დღე

## ლოცვის დროს ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს

მთ 6,7

**მამაო, შენ ძალიან ჰგავხარ ჩვენს მამებსა და დედებს! ისინი გრძნობენ შვილების სიყვარულს არა მაშინ, როცა უამრავ ტკბილ სიტყვებს ისმენენ მათგან, არამედ როცა ისინი ღებულობენ მათ ბრძნულ და მოსიყვარულე მითითებებს. მამაო, ის, რაც ამდიდრებს ლოცვისათვის დღითიდღე დათმობილ დროს, არის მორჩილება, რომლითაც დაგყევი და ახლაც მოგყვები.**

# 9 მარტი

2022

დიდმარხვის I კვირა [I], ი

*წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, +1440*

## ოთხშაბათი

იობ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

ვინ იცის, კიდევ
გადაიფიქროს ღმერთმა იონ 3,9

მთელი წარმართული ქალაქი ნინივე, რომელსაც ღმერთმა მოუწოდა წინასწარმეტყველის მეშვეობით, მოექცა. არც ჩვენ და არც – ასე ვიმედოვნებთ – ისინი, ვინც მისი განგებულებით ახლა მიგვიძღვიან, არ შეგვრცხვება უფლის მორჩილება და ლოცვა. არც მას შერცხვება ჩვენი ცოდვა-ბრალი; ის კვლავ შეძლებს ჩვენს შორის დამკვიდრებას და კურთხევას. მას სიყვარულში ყოველივე ძალუძს!

# 10 მარტი



## 2022 ხუთშაბათი

ესტ 4,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

შენს გარდა არა მყავს
შემწე, უფალო! ესთ 4,17

დედოფალი ესთერი, ემზადება საფრთხეში ჩაიგდოს თავი თანამემამულეთა გადასარჩენად, რომელთა გაწყვეტაც ბრძანა მეფემ. მიენდობა უფალს და მთლიანად მასზე ამყარებს თავის სასოებას. ყველა ჩვენგანს გამოუცდია მდგომარეობები, რომლებშიც თავს უძლურად ვგრძნობდით და უფალს მივმართეთ, როგორც ერთადერთ ღუზას. ეს გარემოებები დაგვეხმარება თავმდაბლად დავრჩეთ უფალში და მივენდოთ მის ერთგულ სიყვარულს.

2022

# პარასკევი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

## ვინც განურისხდება თავის ძმას... მთ 5,22

"... სასჯელის თანამდები იქნება". იესო, სისრულეში მოყვანილი ბოროტების აკრძალვიდან, როგორიცაა მაგალითად მკვლელობა, ეშვება ფესვების ამოძირკვამდე. სიბრაზის გრძნობა ერთ-ერთი ასეთი ფესვია. შევთხოვ სულიწმიდას, დამეხმაროს მის აღმოფხვრაში, ამიტომ არ შევეხები ჩემი ძმის სიცოცხლეს არც ხელით, არც სიტყვებით და არც აზრებით; პირიქით, შევეხიდები მას, ხელს შევუწყობ და სიკეთეს ვუყოფ.

# 12 მარტი



## 2022 შაბათი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

მას თავისი მზე ამოჰყავს
ბოროტთა და კეთილთა თავზე მთ 5,45

მამის სიყვარული, გვაუწყებს იესო, სრულყოფილია, ანუ, უსაზღვრო, როდია განპირობებული ჩვენი სიავითა და უარით. იესო ამას გვიჩვენებს იმ მზის მშვენიერ მაგალითზე, რომელიც აღწევს ყველას განურჩევლად.
მოდი, სულო წმიდაო, იყავი დღეს ჩემში ღვთაებრივი სიყვარულის მზე, რომელიც არავის გამორიცხავს!

# 13 მარტი

**დიდმარხვის II კვირადღე, «გ», [II], ი**

## 2022 კვირა

დაბ 15,5-12.17-18; ფს 26; ფილიპ 3,17-4,1; ლკ 9,28-36

ეს ხმა რომ გაისმა,
იესო მარტო დარჩა ლკ 9,36

იესოსთან ერთად მთაზე ასულმა სამმა მოციქულმა იხილა მისი დიდება; თავად მამამ თქვა: "...უსმინეთ მას!" ეს მხოლოდ ერთი გაელვება იყო; ახლა მხოლოდ იესო დარჩა მათთან: თვინიერი და ღარიბი იესო, რომელსაც სულ მალე უარყოფენ ძლიერნი ამაქვეყნისანი, მსჯავრს დასდებენ და ჯვარს აცვამენ. თუმცა მათ, ვინც იხილა და ისმინა, შეეძლებათ განაგრძონ მისი ნდობა. მათი რწმენა კი შეეწევა ჩვენსას.

# ოჩშაბათი

დან 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

## თუფალო ღმერთო, შენი აღთქმის ერთგულად შემნახველო. დან 9,4

ხსნის ისტორია, წმიდა წერილი, მოფენილია ღმერთის ინიციატივებით, კავშირი შეეკრა თავის ერთან, რომელიც ვერა და ვერ ახერხებდა ერთგულებას! და აი სიყვარულის საოცრება: ჯვარზე დაღვრილი შენი სისხლი, იესო, ძეო ღვთისა, აუქმებს ჩვენს ყოველგვარ ურჩობას და განუწყვეტლივ გვაბრუნებს მამის მკლავებში. მარადიულია, უფალო, შენი სიყვარული!

# 15 მარტი



## 2022 სამშაბათი

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

მათ საქმეებს ნუ მიბაძავთ მთ 23,3

მაგალითი სიტყვებზე მეტად არწმუნებს და იზიდავს. სამწუხაროდ, ასევე ცუდი მაგალითიც. მაშ, ვეცდები, მხოლოდ იესოს ვუმზირო: მისი ცხოვრება და მისი სიტყვები იქნება ჩემი სახელმძღვანელო. იმ ადამიანთა უძლურება, რომელთა საშუალებითაც ის მელაპარაკება, არ გადაფარავს მის ხმას და არ ვიქნები დაბრკოლება ვინმესთვის.

# 16 მარტი

2022

დიდმარხვის II კვირა [II], ი

*(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქროპირი კათაღიკოსი, +1048*

## ოთხშაბათი

**იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28**

ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, თქვენი მსახური იყოს მთ 20,26

**ვისაც ამაყად სურს დიდობა, არასოდეს დაიწყებს მსახურებას! სიდიადე, რაზეც იესო საუბრობს, არის ის, რის ჩვენებასაც აპირებს იგი იერუსალიმში ჯვარზე: სიყვარულის სიდიადე. თითოეულის ჯილდო კი მამას უკვე გამზადებული აქვს.**

# 17 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

*წმ. პატრიციუსი, ეპ., +~461*

## 2022 ხუთშაბათი

**იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31**

*კურთხეულია კაცი, რომელიც უფალზეა დანდობილი* იერ 17,7

**გმადლობთ, მამაო სახიერო, ამ შენი სიტყვისათვის! გულში ვინახავთ მას, როგორც ძვირფას მარგალიტს, შენი სიყვარულის საჩუქარს. შენ უკავშირებ შენს კურთხევას არა ჩვენს სათნო საქმეებს, არამედ იმ ნდობას, რომლითაც გენდობით, როცა შეგცქერით როგორც შვილები... ყოველთვის, რთულ დღეებშიც კი.**

# 18 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

*წმ. კირიღე იერუსალემელი, ეპ. და მოძ. +386*

## 2022 პარასკევი

**დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46**

ეს მემკვიდრეა;
მოდით, მოვკლათ ის მთ 21,38

**მამის სიკეთე მართლაც დიდია! მან იცოდა იმ მევენახეების სიავე, მაგრამ მაინც გაგზავნა თავისი ძე. მან, ჩემს დაბადებამდეც იცოდა ჩემი უმადურობა, თუმცა განუწყვეტლივ თავს მევლება თავისი სიყვარულით და მაძლევს ახალ შესაძლებლობას. მის იმედს ვერაფერი აყენებს ჩრდილს: მისი სიყვარულის შემყურეს, ჩემსასაც არაფერი მოაკლდება.**

# 19 მარტი

**წმ. იოსები,**
**ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე დდ, [ს], თ**

## 2022 შაბათი

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22; მთ 1,16.18-21.24
(ან, ლკ 2,41-51)

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შობს მეს და დაარქმევ მას
სახელად იესოს მთ 1,21

ზეციერი მამა უკვე ასრულებს დახსნის ჩანაფიქ-
რს. და მას სურს, რომ სჭირდებოდე, იოსებ. არა
რაიმე შენი განსაკუთრებული ადამიანური ნიჭი
იზიდავს მას, არამედ შენი თავმდაბლობა: შენ
მიიღე და ემსახურე მის სიყვარულს მარიამში,
მზადმყოფი თანამშრომლობისათვის, ჩრდილში
დარჩენისათვის, სიცოცხლის გაღებისათვის. შენ
ხარ ნამდვილი ნიმუში და შემწე ყოველი მამისა!
მადლობა შენ!

# 20 მარტი

**დიდმარხვის III კვირადღე, «გ», [III], ი**

# 2022 კვირა

**გამ 3,1-8.13-15; ფს 102; 1კორ 10,1-6;10-12; ლკ 13,1-9**
**ამ კვირის განმავლობაში შესაძლებელია აირჩეს**
**„ა“ წლის დიდმარხვის მე-3 კვირადღის საკითხავები**

## თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით ლკ 13,5

ვიცნობ ადამიანებს, რომლებმაც მას შემდეგ, რაც გულით მიიღეს იესო, შეძლეს ეცხოვრათ და მომკვდარიყვნენ, როგორც "ნეტარნი". იესო, მუდამ ცხოვრობს ჩემს გულში! შევეგებე-ბი ჩემს სიკვდილს, იმ მცირე მოკვდინებებსაც, ყოველდღე რომ ვხვდები, როგორც მადლს, გადასვლას ამ უბადრუკი წუთისოფლიდან მამის სიყვარულითა და ნათლით სავსე გულში!

# 21 მარტი



## 2022 ოთხშაბათი

4მეფ 5,1-15; ფს 41; ლკ 4,24-30

არც ერთი წინასწარმეტყველი არაა მიღებული თავის სამშობლოში ლკ 4,24

ყოველთვის იოლად გამოგვდის განსჯა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვიცნობთ ადამიანს ან ვფიქრობთ, რომ ვიცნობთ მას. ამგვარად, საკუთარ თავში დარწმუნებულნი, აღარ ვუსმენთ მას: ასე მოიქცნენ იესოს თანამოქალაქეები ნაზარეთში და უარი თქვეს მშვენიერ საჩუქარზე. იესო, შენა ხარ მამის საჩუქარი: მომეცი თავმდაბლობა, რომ მიგიღო, ვისი სიტყვით თუ მოქმედებითაც არ უნდა ინებო ჩემთან მოსვლა ... თუნდაც ეს იყოს ჩემი აშარი მეზობელი, დედამთილი, რძალი...

# 22 მარტი



## 2022 სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

### ბატონს შეებრალა ის მონა მთ 18,27

იმ მსახურს – ჩვენ ყველამ ვიცით იესოს მოთხრობა – დაუგროვდა უთვალავი ვალი თავისი ბატონის წინაშე: ვერასოდეს გადაიხდიდა მას! მისმა ლოცვამ ბატონს გული მოულბო და აპატია მთელი ვალი. დარწმუნებულნი ვართ, რომ ლოცვა, რომლის ერთგულებაც გვსურს დიდმარხვის ამ დროს, გამოართმევს მამას თანალმობას ჩვენთვისა და მისი მრავალი სხვა შვილისათვის.

# 23 მარტი

2022

დიდმარხვის III კვირა [III], ი

*(10.III) წმ. ღიხსი იოანე ხახუღეღი, მონაზონი, X-Xსს; წმ. ტუხიბიუს მონგჩოვეხოეღი, ეპ., +1606*

## ოთხშაბათი

**რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19**

ახლოსაა ჩვენთან უფალი
როცა ვუხმობთ მას *რჯლ 4,7*

ეს ღვთის სიტყვაა, ეს სიმართლეა! სწორედ ამიტომ გვიყვარს ლოცვა, თუნდაც ის მხოლოდ ჩვენი გულის ერთი შეძახილით იყოს ნათქვამი. იგი, მამა, ვინც შეგვქმნა ჩვენ, ვუყვარვართ, გველოდება, გვიახლოვდება: ვეთაყვანები, მადლობას ვუძღვნი, მივენდობი!

# 24 მარტი



## 2022 ხუთშაბათი

**იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23**

**წამებულ მისიონერთა ხსოვნისათვის ლოცვისა და მარხვის დღე**

*თუ მე ღვთის თითით ვდევნი ეშმაკებს, აბა, დაგდგომიათ ღვთის სასუფეველი* ლკ 11,20

**იესოს ბაგიდან მოსმენილი ბრძანება ეშმაკებმა უნდა შეასრულონ. იესოს ჭეშმარიტად მოაქვს მამის სასუფეველი: ის გვაცხოვრებს ისე, როგორც მის მეფობას შეეფერება, მიმართავს ჩვენს ცხოვრებას! მამა კი მიგვმართავს ყოველთვის სიყვარულით, თანაზიარებით, თავის სულში. ამას კი მხოლოდ ჩვენი ბედნიერებისთვის აკეთებს, როგორც მოვისმინეთ იერემიას წიგნიდან. იესო, აღმართე ჩემზეც შენი ღვთიური თითი და გამათავისუფლე!**

# 25 მარტი

**უფლის ხარება, დდ, [ს],თ**

*(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული (+1289), წამებული*

## 2022 პარასკევი

ეს 7,10-14; 8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ქრიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

## ნუ გეშინია, მარიამ ლკ 1,30

მარიამს არ შეშინებია. თუმცა არ ესმოდა, გადაწყვიტა მინდობოდა უფალს. მან დაძლია ის შიში, რომელიც ხშირად გვძლევს ხოლმე ჩვენ: შიში მადლზე, ანუ ღვთის უანგარო სიყვარულზე მინდობისა, რის გამოც ჩვენს ერთი შეხედვით საიმედო ძალებს ვეყრდნობით ხოლმე. გმადლობთ, მარიამ, შენ არ შეგშინებია და უთხარი ამინი, მთელი კაცობრიობის ხსნის დასაწყისი.

# 26 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

## 2022 შაბათი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება ( +1966)

ვესწრაფოთ, გავიცნოთ უფლის ოს 6,3

შენი სიტყვა, იესო, და საიდუმლოებები, რომ-
ლებიც შენს ეკლესიას მიანდე, ახლებურად
გვაცნობს მამას: ისინი გვაძლევენ საშუალებას
ვიცხოვროთ მისივე ცხოვრებით, ცხოვრებით,
რომელიც მხოლოდ სიყვარულია, საჩუქარი. ვიც-
ნობდეთ მას, ეს უფრო სასიხარულოა მისთვის,
ვიდრე წესების შესრულება, თუნდაც გმირული,
მაგრამ უგულო. ჩვენც ვეშურებით ამ წმიდა ჟამს,
რათა გაგიცნოთ შენ, მამაო!

# 27 მარტი

**დიდმარხვის IV კვირადღე, «გ», [IV], 3**

# 2022 კვირა

იესო 5,9.10-12; ფს 33; 2კორ 5,17-21; ლკ 15,1-3.11-32
ამ კვირის განმავლობაში შესაძლებელია აირჩეს
„ა“ წლის დიდმარხვის მე-4 კვირადღის საკითხავები

## მამა, შევცოდე ზეცის მიმართ
## და შენს წინაშე ლკ 15,18

ეს არის სიტყვა, რომელსაც ლოცვის, მარხვისა
და ქველმოქმედების ამ წმიდა ჟამს მამა თითო-
ეული ჩვენგანისგან ელის. სულიწმიდა გულებში
ჩაგვიდებს მას და გვეცოდინება რა გზას დავა-
დგეთ... მამა დაგვფარავს თავისი საყვარელი ძის
სისხლით, შემდეგ კი კვლავ გულში ჩაგვიკრავს
და გვეამბორება.

# 28 მარტი



## 2022 ოთხშაბათი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

არ ირწმუნებთ, თუკი ნიშნებსა და სასწაულებს არ იხილავთ იო 4,48

იესო, ყველაფერი რიგზეა დღეს: დაღლილობა ყოველდღიური საქმიანობით, იმ ხალხთან ურთიერთობით, ვისთანაც ვცხოვრობ, და ასევე ეს თავის ტკივილი, რომელიც ამდენი ხანია თან დამდევს... მაგრამ მწადია მწამდე შენ, ვცხოვრობდე შენს წინაშე, და უფრო მეტიც: მსურს ვიცხოვრო შენში, შენი სუნთქვით, რომელიც სიყვარულია. ვიცი, რომ უკვე მარადიულ ცხოვრებაში ვარ და მადლობას გიძღვნი, იესო! შენ უკვე გააკეთე და გაეცი ყველაფერი ჩემთვის!

# 29 მარტი

2022

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

*(16.III) წმმ. ღიხსნი პიმენ საღოსი და ანტონ მესხი, XIIIს*

## სამშაბათი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

*გსურს განიკურნო?* იო 5,6

იესო, დღეს შენი მზერა ჩემზეა, როგორც იმ დღეს, ბეთესდას აუზთან, დავრდომილს მოხედე. შენ იცი მთელი ჩემი სიღარიბე და მეკითხები: "გინდა განიკურნო?". "დიახ, იესო, მე მინდა, რომ ჩემი, როგორც ზეციერი მამის ძის ცხოვრება, არ იყოს დავრდომილი, არამედ ენერგიული, სიყვა-რულის შემძლე. გმადლობ, რომ განმკურნე."

# 30 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

## 2022 ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

ვინც ძეს არ სცემს ჰატივს,
ის არც მამასა სცემს ჰატივს იო 5,23

სამების შინაგანი სამყარო საოცრებათა საოცრებაა! მამა და ძე ერთმანეთს ეძლევიან, სიხარულს პოულობენ ერთმანეთის სიხარულში; სულიწმიდა კი არის ამ სიყვარულის გაცვლის მსახური, იარაღი! სწორედ აქ იბადება ყოველი ოჯახი, ყოველი ქრისტიანული საკრებულო, რომელსაც სურს, ეძებს და შეუძლია ხორცი შეასხას სიყვარულის სასწაულს.

# 31 მარტი



## 2022 ხუთშაბათი

**გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47**

არა გწამთ მისი, რომელიც
მან მოავლინა იო 5,38

იესო ელაპარაკება ებრაელებს, რომლებიც არ აღიარებენ, რომ ის ღვთისგანაა მოვლენილი; მალევე ის მათ ამასაც ეტყვის: „არ გინდათ ჩემთან მოსვლა, რათა იცოცხლოთ“. ყველაფერი, რასაც იესო ამბობს და აკეთებს, სიტყვები და სასწაულები, არის არა საკუთარი თავის წარმოსაჩენად, არამედ ჩვენი რწმენის, მისდამი ჩემი ნდობის გასაღვიძებლად: ის არაფერს იგებს ჩემი რწმენით; მე კი – ყველაფერს, სიცოცხლეს. ის მხოლოდ ჩემს სიკეთეს ეძებს, რადგან ვუყვარვარ. იესო, მე მწამს შენი სიყვარული!